

საქართველოს
საზოგადოებრივი
ტელევიზია

№1, 2007 წელი

დედბა

გაგონების, 103-ე წელი

უმწველი უნა სწავლობდეს
სტყობილდ თვისსადია,
უნ არის, სდამ მოსულა,
სდ არის, წაფა სდლო?



შენი სახლი

შიგ კოველთვის სითბო ღვივის,
 მტრედინ უზის სასურავსე,
 მოგაგებებს შუქს და ღიმილს,
 შენს ხმას, ნაბიჯს აუურადებს.
 ფეხს არ იცვლის,
 დგას და გულის
 შემცივნებულს,
 მძიერს,
 დაღლილს,
 საიძვლო, საყვარელი,
 მშობლიური შენი სახლი.



მხატვარი სოსო შალვაშვილი



იქნებ შენ ვუთხრა

მოგვიხატე ერთი აფთარი
 თეთრი, ფრიალა ფაფრითა,
 ჩაკეტილ კარებს მოაქუდა,
 შემოგვღმულია ფანჯრიდან.
 ღრუბოში თითი შემოყო,
 ავვიბუსდუნდა, ახირდა,
 გვიღრუნდა, ბაღას ივლეჯდა
 და ბღუჯა-ბღუჯა გვაურიდა.
 ვერც რა თოფ-სანჯლით დავაფრთხეთ,
 ვერც გადავდენეთ სახრითა,
 ვიდრე თვითონ არ გაუქვა
 ხვესუვებს ეფუ-ჯანითა.
 იქნებ შენ ვუთხრა, რა იყო,
 თუკი იკმარებ, რაც ითქვა.

ყურღუმ-ბურღუმ, მშია, მშია



ცივა. ჰაერში თითო-ორილა თოვლის ფიფქი პეპელასავით დაფარფატებს.

ნიავეს ზოგჯერ ფიფქები მელიის სოროში შეაქვს, ის კი წევს დარდიანი, დრუნჩი წინ გაშვერილ თათებში ჩაუყვია და თვალედახუჭული ყურს უგდებს ცარიელი მუცლის ყურღუმ-ბურღუმს, რაც ნიშნავს: მშია, მაჭამე რამეო.

— გაჩუმდი, რა გაჭამო, როცა დღეს ამდენი ვინანნაღე, მთელი ტყე-ღრე შემოვირბინე და საკბილო ვერაფერი ვიპოვე! — გაუბრაზდა მელია მშიერ მუცელს.

მართლაც ბევრი ირბინა მელიამ, ისუნსულა. ტყის გადაღმა სოფელი რომ არის, იქაც შეიპარა, იქნებ ქათამს ან ბატს კბილი გავკრაო, მაგრამ ძალღებმა გაუგეს და ატყდა ყფა-გნიასი.

— ჩქარა გავიქცეთ, მიდი, მოვდივარ! — ურჩია კუდმა მელიას და იმანაც სწრაფად ტყისკენ მოცოცხა.

— ვენაცვალე ტყეს, ამ ხეებს, ბურჩებსა და ბალახებს, ესენი მიფარავენ მტრისგან, თორემ რა მეშველებოდა, ან ძალღები დამგლეჯდნენ, ან მონადირეები მიმასიკვდილებდნენ! — ამბობს გულში მელია და ოხრავს.



— ყურღუმ-ბურღუმ, მაჭამე, მშიაა! — ჭუჭყუნ-ბუყბუყით თავი შეახსენა მუცელმა მელიას.

— ოხ, ნეტავი შენი გადაგდება ან გაჩუქება შეიძლებოდა, რა სიამოვნებით მოგიშორებდი თავიდან. მიგაშავებდი მგელს ან ტურას და იმათ ედარდათ შენს გაძლომაზე! — ჯავრობს მელია.

— ხმა ჩაიწყვიტე, თორემ... შიმშილი მერე ნახე, სოროდან გარეთ ფეხს არ გავდგამ და, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე... მოთმინება არა აქვს ამ ოხერს! — დაემუქრა მელია მუცელს.



— პირველად მესმის ეგ რაღაც კანფეტი!

— დედას გეფიცები, კანფეტინა, დიღანს ტყის პირას ვიპოვე ეტყობა, იქ მოთამაშე ბავშვებს ჯიბიდან დასცვივდათ!

— გემრიელია?!

— კი, გემრიელია, თანაც — ტკბილი!

მელიას უმალ თავში მზაკვრული აზრი მოუფრინდა: — ციყვს დაბლა ჩამოვიტყუებ, პირს ვტაცებ და შევსანსლავო.

მელიამ ხმა გაინაზა და დაიტკბო:

— ჩემო მშვენიერო, კუდბუთქუნა ციყვო, გებეწები, იქნებ ერთი ცალი კანფეტი მაჩუქო და ძირს ჩამომიტანო, გემოთი გავსინჯავ; მე ხომ არასოდეს მიჭამია კანფეტი!



ამ დროს ნიავმა სოროში ისევ თოვლის ფიფქები და რაღაც უცნაური ხმები შემოიტიანა.

— კნან-კნუნ, კნან-კნუნ! — ისმოდა საიდანლაც.

მელიამ ყურები ცქვიტა. ან თავი იყო, ან ციყვი. იმათ იციან კნანკნუნით რამერუმეების ჭამა.

მელია სოროდან ფრთხილად გამოძვრა, კნანუნის ხმა, სოროსთან ბუბერი მუხა რომ იდგა, იქიდან ჩამოდიოდა. ტოტზე ციყვი ნამოსკუპებულიყო და იცმუნებოდა.

— რას აკნანუნებ, მეზობელო, თხილს თუ კაკალს? — შეეხმინა მელია ციყვს.

— არც თხილს, არც კაკალს! — ჩამოსძახა ციყვმა.

— მა რა ჯანდაბას მიირთმევ?

— კანფეტს გეახლები!

— კანფეტს? — გაუკვირდა მელიას,



— ვერ ჩამოგიტანი!

— რატომ, საყვარელო?

— ვერ გენდობი. პირი რომ მტაცლო და შემჭამო? თანაც, აქეთ-იქით რომ ვარიგო, ტკბილ საკნატუნებელს სადღა ვიშოვი, გგონია, ბავშვები კიდეც დაკარგავენ კანფეტებს?!

— ერთი კვნიტი მაინც გაიმეტე და გადმომიგდე! — შეეხვნა მელია ციყვს.

— კვნიტი არა, სხვა რა მოგიინდა, თუ ინებებ, კანფეტის ქალაღდს ჩამოგიგდე, ალოკე!



მუხის ტოტიდან მონყვეტილი ფოთო-
ლივით კანფეტის ქალაღი ჩამოფარფატ-
და და მელიას მალღ აშვერილ დრუნჩზე
დაეცა. იმან ქალაღდს ჯერ დასუნა, მერე
ენის ნვერით ალოკა, დაიგემოვნა და ტკბი-
ლი ნერწყვი სიამოვნებით გადაყლაპა.


— მართლა კარგი ყოფილა! — გაიფიქ-
რა მელიამ და ქალაღდი თითით გადააბ-
რუნა, რომ მერე მხრიდანაც აელოკა,
მაგრამ გაკვირვებისგან თვალეზი ჭყეტი
დარჩა, კანფეტის ქალაღდზე სისხლივით
წითელი, ნისკარტდაღებული მამალი იყო
დახატული.



წყალი რომ მიედინებოდა, შიგ ტყაპანი
მოადინა.

მთლად განუწულმა მელიამ მიიხედ-
მოიხედა. მამალი აღარსად ჩანდა. ღე-
ლის პირას გადმოყუდებულ ხეებს შორის
ციდან თოვლის ფიფქები ცვიოდა. ფიფ-
ქებთან ერთად კანფეტის ქალაღდი მო-
ფარფატებდა, ზედ სისხლივით წითელი
მამალი ესახა.

იმ იმედით, რომ დახატული მამალი
ისევ ნამდვილ მამლად იქცეოდა, მელიამ
კანფეტის ქალაღდი სოროში მიარბენინა.
წევს ახლა მელია სოროში, დასცქერის
წითელმამლიან ქალაღდს და თათები
ყურებზე მიუფარებია. რა ქნას, სიკვდი-
ლი უნდა, მშიერი მუცლის ყურღუმ-ბურ-
ღუმის გაგონება კი — არა.



— ღმერთო ჩემო, მამალი! ნეტავი
ნამდვილი იყოს, შევჭამდი და მშიერ მუ-
ცელს გავაჩუმებდი!

ისე თქვენ აგიხდეთ ყველა ნატვრა,
როგორც მშიერ მელიას აუხდა: კანფეტის
ქალაღდზე დახატული, სისხლივით წითე-
ლი მამალი უცებ ნამდვილ მამლად იქცა.
მელიას რომ შეასწრო თვალი, შიშით და-
იქოთქოთა და ტყეში გაფრთხილდა.

— არიქა, დავიჭიროთ, მიდი, მოვდი-
ვარ! — სიხარულით აკანკალდა მელიას
კუდი. მელიაც სწრაფად გამოევიდა მა-
მალს, პირდაღრენილმა ხან ხეებს შორის
სდია, ხან ბუჩქებში იძრომიალა. ერთგან
ღრმა ღელეს მიანყდნენ. ის იყო, მელიას
პირი უნდა ეტაცა, რომ მამალი ღელე-
ში კრიახ-კრიახით გადაფრინდა. ისკუპა
მელიამაც და, ღელეში ცივი, ყინულივით



მხატვარი ლაშა სულაბაშვილი



ეს რა უცნაურ ქვეყანაში გამოვიღვიქეთა?!

დავით შაშაიაშვილი

დადაუნა

ღივი ღივი ღივი,
სიხვი და ზღივი.

მეტი რამ ხედავდა,
სწორედს უღიანებდა.



მახვი, მახვი,
თქო - ვიფიქროვებ
და წინასწარ ცხვირს
და დავიწყებ ხაზებს.



ხედავდი მეტი
კარგი ამ ცხვირს მაღივებო -
ელო კარგი კარგი
და მოვიქნა მახვი ხეტი.



სიხვი ხეტი კარგი
დადაუნა ხაზი -
მახვი რამ ხედავდა,
ხაზი დადაუნა.



მეტი რამ ვიფიქროვებ
მეტი რამ ვიფიქროვებ
მამ მახვიდა კარგი
ხო ვიფიქროვებ...



ცხვირზე რამ მახვიდა,
ან თვალით, ან რ ხედავდა?
რ ხედავდა და დავიწყებ
უღიანებდა ხაზებს,
ამხვიდა ამხვიდა
და მეტი მეტი.

მახვი ღივი დადაუნა
იღვი მახვიდა,
დადაუნა დადაუნა
ხაზი რამ ხაზი
კარგი კარგი
- ან დადაუნა...

მეტი კარგი დადაუნა კარგი
ღივი ღივი ღივი

შვილები დიდ მამებზე

რუბრიკას უძღვება თამაზ კვაჭანტირაძე

მემორიუმები - ნაბოლარა



ნიკო ლორთქიფანიძე (1880—1944), „თავსაფრინიან დედაკაცისა“ და მრავალი სხვა შედეგების ავტორი, მეთერთმეტე შვილი იყო მოშობლებისა, ნაბოლარა. ახლა რომ ორი კინკლა შვილის ყოლა დიდ რამედ მიგვაჩნია, მაშინ, მეცხრამეტე საუკუნეში, ასე არ გახლდათ — ქართული დედები ბევრ შვილს აჩენდნენ. უნინ ხალხს ამის მავალითს სა-მეფო კარი აძლევდა — ცნობილია, რომ ერეკლე მეფესა და დარეჯან დედოფალს თექვსმეტი შვილი ჰყავდათ.

თვითონ ნიკო ლორთქიფანიძეც მრავალსულიან ოჯახს თავაკცობდა. ვე შეგებობრობდი მის ვაჟთან, ცნობილ ყურნალისტ მამბა ლორთქიფანიძესთან; მისგან ბევრჯერ მსმენია, თუ როგორი იყო მისი დიდი მამა შინაურობაში:

რითაა ავსტრია ღირსშესანიშნავი?

მამამ უმაღლესი განათლება ევროპაში მიიღო, კერძოდ, ავსტრიაში. ბევრ ადგილას ნაცხოვრებს, საერთოდ უყვარდა მოგზაურობა და ჩვენც, რომ იტყვიან, თამაშ-თამაშ შეგაკვავარა გეოგრაფია: ოთახში დაგვიკიდა უზარმაზარი მსოფლიო რუკა; საღამოს იწყებოდა ხოლმე ერთგვარი შეჯიბრ-თამაში, რაშიც უფროსებიც ერთვებოდნენ: მამა ასახელებდა ანბანის მიხედვით გეოგრაფიულ ობიექტს, ჩვენ ვპოულობდით რუკაზე და ვყვებოდით, რაც ვიცოდით მის შესახებ... შიგადაშიგ კომენტარებში სახალისოსაც გამოვურევდით და იყო ერთი სიცილ-ხარხარი:

- ქვეყანა ანზე, გოგი!
- ავსტრია...
- დედაქალაქი, ნოდარ!
- ვენა...
- მერაბ, მთავარი მდინარე!
- დუნაი...
- ავსტრიის უმთავრესი ღირსშესანიშნავი!



- აქ უკვე დედა ჩაერთო:
- მამათქვენი სწავლობდა იქ.

კომიტება ღაუფუნეს

მამას ბავშვობა ქუთაისის ახლო, ჩუნეში გაუტარებია, მისი უფროსი ძმები კი ამ დროს უცხოეთში სწავლობდნენ და მოღვაწეობდნენ. ერთხელ პატარა ნიკოს ჩუნეშზე ლექსი დაუნერია და უფროსი ძმისთვის გაუგზავნია. ეს ყველაფერი ჩინებულაო, უპასუხია მამს, მაგრამ რაც ლექსად მომწერე, სცადე და ახლა ამბად მომიყვიეო.

— მივხედი, რომ პოეტობა დამონუნეს და მას შემდეგ პროზისთვის აღარ მიღალბა, — ღიმილით იგონებდა ხოლმე ამ ამბავს მამა.

„დეკამერონი“ მოიცდის

დედამამიშვილები ოთხნი ვიყავით, მაგრამ ერთადერთი დაიკო მცირეწლოვანი გარდაგვეცვალა და ოჯახში სამი ბიჭი დავრჩით — სამი ტომ სოიერი კი ერთი ოჯახისთვის ნამეტანია! მიუხედავად ამისა, მამა მაინც ახერხებდა ჩვენი ჭარბი ენერჯის საჭირო კალაპოტში მიშვებას. ნიკო ლორთქიფანიძეს ოჯახში ხმა არასოდეს აუწევია, მაგრამ მშვიდად თქმული მისი ორიოდ სიტყვა ჩვენთვის კანონი იყო. შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში ის, ერთი შეხედვით, თითქოსდა არც ერეოდა, მაგრამ სინამდვილეში შეუმჩნეველად, სახსვათამორისოდ გვაკეთებინებდა იმას, რაც საჭიროდ შიანდა.

მასსოვს, თორმეტი წლისამ მამას ბიბლიოთეკიდან „დეკამერონი“* გამოვიტანე — ყდამ თუ მიმიზიდა — და კითხვას შევუდექი. მამამ შემინა, იმ დღეს არც ნიგნი გამოურთმევი და არც არაფერი უთქვამს, მეორე დღეს კი ჯეიმს ჯუკზე* ნიგნი მომიტანა და მითხრა: ჯერ არ გინდა მაგ ნიგნის კითხვა, აი, ეს კი მოგზაურობაზეა დანერილი და უფრო დაგაინტერესებსო.

„დეკამერონი“ -იტალიელი მწერლის ბოკაჩოს ნაწარმოები, რომელსაც მცირეწლოვნებს არ აკითხებენ.

ჯეიმს ჯუკი - ინგლისელი მოგზაური.





მამამ არაფერი გამოგვიჩვენა

ათი-თორმეტი წლისანი ვიქნებოდით, როცა შობილებმა გამოგვიცხადეს, უკვე დიდი ბიჭები ხართ და საზაფხულო არდადეგებზე მამიდა ელერს ნაწყევებით მღეთის დასასვენებელ სახლში. მამიდა უპატრონო ბავშვთა სწავლა-აღზრდას განაგებდა... მაშინ ეკონომიურად არ გვიჭირდა, მაგრამ, როგორც ახლა ვხვდები, მამამ სრულიად შეგნებულად გვატყუოდა მთელ ორ თვეს უდემამო ბავშვებთან: მათსავით ვიკვებებოდით, მათსავით გვეცვება და გვეხურა; წესრიგს იქ მკაცრად იცავდნენ, თუმცა ბურთსაც ისე თავგამოდებით დაედევდით ყველანი, რომ ლანჩები მალე გაგჭვრა. ორი კვირის თავზე მამას წერილი მივწერეთ, ახალ ფესაცმელებსა და კანფეტებს მოვითხოვდით.

გადის კვირა, ორი, სამი... მამამ არაფერი გამოგვიჩვენა.

მერე მივხვდით: ნიკო ლორთქიფანიძე იმას არ იზამდა, რომ ოთხმოც უპატრონო ბავშვს ჩვენს ახალ ფესაცმელსა და ტკბილეულზე ეყლაბა ნერწყვი.

„კუნებათი ბატონი“

მამას მარტო ჩვენ კი არა, უფროსებიც რიდი-თა და მონინებით ექცეოდნენ. შიში რა სათქმელია, მაგრამ მასთან თავი ყველას მოკრძალებულად ფქირა: ზედმეტს არც არავის ჰკადრებდა და არც აკადრებინებდა.

ერთხელ შეზარხოშებულმა პაოლო იაშვილმა, ახალგაზრდა მეგობართაგან მამასთან ყველაზე შეთამამებულმა, ჩვენთან სუფრაზე ჰკითხა:

— რატომ არის, ნიკო-ბატონო, რომ ჩემს ყველა ნაცნობ-მეგობარს შემოძლია მხარზე ხელი დაეკრა, შენ კი — ვერა?

— იმიტომ, რომ მე არ დაგიტყაყუნებ არასოდეს მხარზე ხელს, — ღიმილით უპასუხა მამამ.

პროსპერ მერიმე სუზრასთან

მამას ძალიან უყვარდა მეგობრებში მოღებნა, მაგრამ ვერ ეგუებოდა პირად სადღერძელოებში ზღვარგადასულ ხოტბა-დიდებებს. როდესაც ახალგაზრდა პოეტები — პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე — ნიკოსთან ერთად სუფრას მიუსხდებოდნენ, მამა წინასწარ ხუმრობით გამოაცხადებდა:

— შევთანხმდეთ: შენ ბოდღერი ხარ, შენ — მალარმე, შენ — ვერლენი, მე — პროსპერ მერიმე* და ამით მოვაბითა-ერთო ერთმანეთის დღეგრძელობა.

აბაკი ღვასთან

მამას პედაგოგობა იმდენად მალალ მისი-ად მიაჩნდა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალს მხცოვანი აკაკისთვის საჯაროდ უთხოვია: ხომ ამდენი გიშრომ-გიღვანიობა საქართველოსთვის, ხომ უგვირგვინო მეფე ბრძანდები ჩვენი ხალხისა, მოდი და ერთი ასეთი ამაგიც დაგედეთ ქართველებს — სკოლაში მასწავლებლად გამწესდით და ბავშვებს ქართული ასწავლეთო.



ბოდღერი, მალარმე, ვერლენი - ცნობილი ფრანგი პოეტები, პროსპერ მერიმე — დიდი ფრანგი მწერალი



„მეგობრები“

ბავშვთა დაცვის მსახურს სხვების და სპეციალურ სკოლა-ინტერნატში 5000 ბავშვის და მშობლების მხარეებში მიუძღვება მსუბუქი ცხოვრების, აქტივ 100-მდე სპორტული ინსტრუმენტი და მშობლებს მათი გამოკვება არ შეუძლიათ – ამ სახლი არ არის ამ საშინაოში.

ამ პრობლემით დაინტერესდა ცნობილი ქართველი მომხრე-დაცემის მხარეებთან და მსხვერპლთა მხარეებთან მიმართებაში მსუბუქი ცხოვრების მათი გამოკვება არ შეუძლიათ – ამ სახლი არ არის ამ საშინაოში.

შეიქმნა „მეგობრები“ საბავშვო-ცენტრი, სადა ბავშვები და მშობლები ერთად იმუშავენ, რათა ყოველთადაც აკრძალვდეს მათსა, რომელიც იყავს ბავშვთა დაცვის მსახურს და მშობლებს მათი გამოკვება არ შეუძლიათ – ამ სახლი არ არის ამ საშინაოში.

ორი წელი განმავლობაში არ განსწავლეს ბავშვთა დაცვის მსახურს და მშობლებს მათი გამოკვება არ შეუძლიათ – ამ სახლი არ არის ამ საშინაოში.

ორი წელი განმავლობაში არ განსწავლეს ბავშვთა დაცვის მსახურს და მშობლებს მათი გამოკვება არ შეუძლიათ – ამ სახლი არ არის ამ საშინაოში.

ეს საბავშვო ცენტრები ბავშვთა დაცვის მსახურს და მშობლებს მათი გამოკვება არ შეუძლიათ – ამ სახლი არ არის ამ საშინაოში.

შეიქმნა „მეგობრები“ საბავშვო-ცენტრი, სადა ბავშვები და მშობლები ერთად იმუშავენ, რათა ყოველთადაც აკრძალვდეს მათსა, რომელიც იყავს ბავშვთა დაცვის მსახურს და მშობლებს მათი გამოკვება არ შეუძლიათ – ამ სახლი არ არის ამ საშინაოში.

ორი წელი განმავლობაში არ განსწავლეს ბავშვთა დაცვის მსახურს და მშობლებს მათი გამოკვება არ შეუძლიათ – ამ სახლი არ არის ამ საშინაოში.

ორი წელი განმავლობაში არ განსწავლეს ბავშვთა დაცვის მსახურს და მშობლებს მათი გამოკვება არ შეუძლიათ – ამ სახლი არ არის ამ საშინაოში.

წიგნები

სხვადასხვა სახის ბავშვთა წიგნები



ბავშვთა დაცვის მსახურს და მშობლებს მათი გამოკვება არ შეუძლიათ – ამ სახლი არ არის ამ საშინაოში.



ობრის კეეხი



აღარა ჰეაეს დედა
დათუხელას ბელსო,
ნეტავ, ბული ბინას
ვისთან დაიდებსო?



მიაკითხეს მკელსო, –
რა ვუშველოთ ბელსო? –
მე რას მეკითხებით, –
ჰკითხეთ ახლობლებსო.

ეჩნებ მელაკუდას
გული მოუღებესო, –
შევედრნენ: მელავ,
შეიფარებ ბელსო?
– რაო? უქონელსო,
უსუსურს და შტერსო,
მადით ბაუბაუდევსო,
მე მახეჩებთ ბელსო?



აფთარს სხვისი კირი
ღობის ჩხირად უჩანს,
ობლის წუხილს ჩივის?
დამრწის ქუჩა-ქუჩა.
თავს მიადგ ნენ: წრწუნ,
დანმარებას ველით, –
ჩემს სიაროში რომ არ
დაეტყვა ბული?



ლოძმა გაკვირვებით
გადახედა მრევლსო:
ნუთუ, ობლის ცრემლი
არვის აღარდებსო?
აბა, რას ჰგაეს ესო?
რატომ ვარცხვენთ გვარსო?
აღარც სითბო შეგვრსო,
აღარც გული გვაქვსო?

მოცუნცვულდა ციფვი, –
თავი შემირცხვესო,
პატრონობა თუ არ
გავეწითო ბელსო.



გურდელეღმა თქვა: თუკი
მანდობთ მიძობასო,
მე მოუვული ბელს და
ვანაცვალებ თავსო.





შეუთვალეს დათვსო:
გაზრდი დათუჩასო?
რასა ბრძანებთ, რასო,
მაგის თავი მაქვსო?



მიამურეს ტურას,
კარის მესობელსო,
გაცვინა ტურას, —
ვგავარ ქველმოქმედსო?

ვიდას მიაკითხონ,
ვიდა გამიჩახონ?
თითქოს არსად არ ჩანს
ბუღის სამოსასლო...
დათუჩა კი ტირის,
სიმწრის ცრემლებს უღაპავს,
ვინ გაუთბობს კუღს და
ვინ გაუწყვეს ჭაპანს?



აღარა ჰეავს დედა,
მამა, ბებო, ზაპა,
ვინ უმღერებს ნანას,
ვინ უამობს ზღაპარს?
ბუღისაგან ბუღი
კარგს არაფერს ელის.
ნუ იქნები, ბუღო,
ასე უღმობელო...



ბელსე საზრუნველად
მონარნარდა მუელიც,
(ხედავთ? ქველის პოუნაც
არ უოფილა მხელი.)
უთხრეს: დათუჩელავ,
ცრემლი ნულარ კდისო,
გთავაზობთო ჩვენს წილ
სარჩო-საბრძანისსო.

შეურცხვეითო თავი
ტურას, მკელს და მელას,
მაგრამ მათნაირი
ხომ არა ვართ უველა?
კვინდა მოგეფეროთ,
ზრუნვა გავცემიროთ,
ჩვენო ბუღრუგანავ,
ჩვენო თვალისჩინო...

ჩაეღიმა ღომს და
დინჯად გამოცნაო:
ობლის კვერი ბოლოს
მაინც გამოცხვაო.



ჯილდო, რომელსაც პუნიკა პატიან უყვარდა



ზოოპარკში სპილო დაიბადა. მას სახე-
ლად პიპო დაარქვეს.

აქ გასაკვირი არაფერია — ზოოპარკ-
შიც იბადებიან სპილოები. მაგრამ საქმე
ის გახლავთ, რომ პიპო დიდი უცნაური
ვინმე გამოდგა: გამოძვრა თუ არა დედის
მუცლიდან, ერთი მიმოიხედა და... მოჰყვა
ხორთუმის ქნევას: აქეთ-იქით, აქეთ-იქით.

— რას აკეთებს? — იკითხა მამამ.

— ალბათ, ბუზებს უქშევს, — უპასუხა
დედამ.

— კი მაგრამ, აქ ბუზები რომ არ არი-
ან? — მხრები აიჩეჩა მამამ და გადაწყვი-
ტა, ამაზე აღარ ეფიქრა.

მაგრამ პიპო არ ცხრებოდა: აქეთ-იქით,
მარხცნივ-მარჯვნივ...

— იქნებ ავად არის? — ველარ მოით-
მინა მამამ.

— რას ერჩი?! — გაბრაზდა დედა, —
ბავშვს არც სიცხე აქვს და ფერიც მშვენი-
ერი უჩანს.

სწორედ ამ დროს გალიას ბიჭუნები
მოადგნენ. უცებ, ერთმა მათგანმა ხელი პი-
პოსკენ გაიშვირა და შესძახა:

— შეხედეთ, შეხედეთ! რა უცნაური სპი-
ლოა, როგორ ჰყვება მუსიკას!

ზოოპარკში მართლაც მუსიკა ისმოდა.

— ასეც ვიცოდი, ჩემი შვილი ნიჭიე-
რი! — გაიბადრა დედა.

— მერე რა ვუყოთ? — გამოეპასუხა
მამა.

— რა და ყანჩას უნდა ვკითხოთ, ის ამ
საქმეებში ძალიან გამოცდილია.

მოიყვანეს ყანჩა. მან ერთხანს უყურა
პიპოს, მერე სათვალე შეისწორა, ცალი ფე-
ხი მოკაკავა და თქვა:

— ამას სწავლა არ სჭირდება. თქვენი შვი-
ლი ნამდვილი დირიჟორია. უნდა შევქმნათ
ორკესტრი, რომელსაც ის უდირიჟორებს.

ამ სიტყვების გაგონებაზე პიპოს გაკ-





ვირვებისგან ხორთუმი ჩამოუვარდა და კარგა ხანს ველარ აამოძრავა.

— ძალიან ჭკვიანურია! — თქვა დედამ.

— მართალია, ნიჭს ხომ არ დავუკარგავთ?! — დაუდასტურა მამამ.


მოკლედ, ზოოპარკში ორკესტრი შექმნეს. მოიტანეს საკრავები: მაიმუნმა ვიოლინო აირჩია, დათვმა — კონტრაბასი, კოდალამ — დაფდაფი, ჟირაფმა კი — არფა.

დასხდნენ და დაიწყეს დაკვრა. ზისაც როგორ ესმოდა, ისე უკრავდა, შიშო კი მათ წინ იდგა და ხორთუმს აქნევდა: აქეთ-იქით, აქეთ-იქით...

— გენიალურია! — აღფრთოვანებულმა დედამ თვალებზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა.

— მართლაც შესანიშნავად უღერს! — დაეთანხმა ყანჩა, — დროა კონცერტი გაემართოს.

ზოოპარკის შესასვლელთან აფიშა გააკრეს. აფიშაზე ეწერა:



ყვილასი ყვილასი ყვილასი

ლორე, ნაჯაშონ ნაჯაში, ზოოპარკის ორკესტრი გამართავს ყონცერტს!

ღირიუორი: ნაქოო ზაზა!

მერე სახელდახელო სცენა მოაწყვეს და დაიწყეს ლოდინი, რა მოხდებოდა.



როგორ გგონიათ? მოაწყდა და მო-
ანყდა ხალხი. ბავშვების ყრიაშული ცხას
სწვდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დანყ-
ნარდნენ. ორკესტრი სცენაზე განლაგდა, პიპომ
ხორთუმი ასნია და კონცერტი დაიწყო...

უნდა გითხრათ, მსგავსი რამ ჯერ არა-
ვის სმენია. ვინ რას უკრავდა ან რას აკე-
თებდა, არ გაიგებოდა. მაიმუნი ისეთი გამე-
ტებით უსვამდა ხემს ვიოლინოს, რომ ორი
სიმი განყვიტა; კოდალამ კაკუნით დაფდა-
ფი ჩახია და თვითონაც შიგ მოადინა ტყა-
პანი, ხოლო ჟირაფმა არფა გადააყირავა
და ზედ ფეხებს გამალეებით ურტყამდა.

ამასობაში ვილაცამ სცენაზე ნაყინი ის-
როლა. ტყაპ! და ნაყინი პირდაპირ დათეს მი-
ეტყეპა დრუნწზე. დათვმა დრუნწი გაილოკა,
მერე მაიმუნს ხეში გამოსტაცა, კონტრაბასის
სიმზე ისარივით მოზიდა და გატყორცნა...

— უუუჰ! — ორთქლმავალივით შეჰკვი-
ვლა პირველ რიგში მჯდომმა თავმოტვლე-
პილმა ძიამ და ხელეები შუბლზე იტაცა —
მე თქვენი!..

ერთი სიტყვით, აირია მონასტერი... მაგ-
რამ პიპო, ვითომც აქ არაფერიო, ხალი-
სით აქწევდა ხორთუმს და ძალიან კმაყ-
ოფილიც ჩანდა.

კმაყოფილი იყო მყაყურებელიც:

- მიდი, დასცხე!
- ყოჩაღ, ეგრე გაუსვი!
- ბის!
- ბრავო! — ისმოდა ალტაცებული შე-
ძახილები და ბავშვები სიცილ-კისკისით
ერთმანეთს აწყდებოდნენ.



ბოლოს „მუსიკა“ დამთავრდა და ისეთ-
მა ტაშმა იგრიალა, თვით ბულბულსაც კი
შეშურდებოდა.

ბედნიერებისგან გაბადრული პიპო მყაყ-
რებელს თავს უქნევდა, თან აქეთ-იქიდან
ნასროლ თაიგულებს ხორთუმით იჭერდა.

ერთი სიტყვით, ყველა მხიარული იყო.
აი, თქვენ კი გაკვირვება შეგატყვევთ.
რატომ გიკვირთ, განა ასე არ ხდება?

მხატვარი ნანა ხანანია





დათა აიძვლაძე
4 წლის
გორაკის ქ. 2010101010



ანასტასია და ელენე
მურანაშვილები



თეკლა ნოღია

4 წლის
თეკლას ნახატების თავისებურება ის არის, რომ
ფანქრის ნაცვლად ვოკონა პლასტილინს იყენებს.



მარინა
კუპრავაშვილი
11 წლის



თოვლის ზაფხუ

თოვლის ზაფხუ, ღამაზო,
მოუთმენლად გეკლით,
მოგვიტანე საჩუქრები,
სათამაშოები...
მოგაქვს მსიარულემა,
მოგაქვს ჩურჩხლეები,
სახალწლო ოცნება
მხოლოდ შენ სარ ჩუენი.
გულს გვიხარებ ზაწაწინებს,
როგორც ტკბილი სიხმარი,
ეს სიხმარი ცხადად გუქვდა,
გაუხდით მოუთმენარი.



როგელია
მომხის
არადილი?

მაშ, ასე, სუფრის გალაშქრება გადამწყვეტე? დამიჯერე, ყველას გააოცებ, როცა მაგიდასთან

შენი ხელით მომზადებულ მოლიმარ მზეს მიიტან. მისი მომზადება კი ისეთი იოლია... მჭადის მრგვალ კვერს თვალები და პირი გაუკეთე (შეგიძლია პურს მისცე ასეთივე ფორმა), მონული თევზის შუაგულში მოათავსე, მერე ყველის თხელი ფენა ზოლებად დაჭერი და სხივებად გამოიყენე. სულ ეს არის! გარეთ ბინდიც რომ იყოს, შენს სუფრაზე მზე იცინის!



ახლა ოჯახის წევრებზეც იფიქრე: მწვადი-ასორტი შამფურისა და ცეცხლის გარეშე — ასეთი რამ ჯერ არც დედას მოუზადებია, არც მამას. თან, მასალად იმდენი საინტერესო რამის გამოყენება შეიძლება...

ასორტი ფრანგული სიტყვება და კარგად შერჩეულ ნიშნავს. შენც შეგიძლია მასალა ოჯახის ყველა წევრისთვის მათი გემოვნების გათვალისწინებით შეარჩიო: პური + ყველი + სოსისი + ლიმონი + ზეთისხილი + მოხარშული კვერცხი + კიტრი + პომიდორი + სილამაზისთვის შიგადაშიგ სალათის ფურცლები, სტაფილო და ნითელი ბულგარული ნიშნავა ჩაურთე (გემოთიც არ დაინუნება).

მასალა, რომელსაც ასორტის დასამზადებლად იყენებ, ნინასნარ ოთხკუთხა ნაჭრებზე დაჭერი, მერე კი თანამიმდევრობით ნაშრობე ხის ჩხირებზე. მასალის ფერებიც შეუხამე ერთმანეთს. ბოლოს კი თითოეულ ჩხირს პატარა ქაღალდის ალამი მიამაგრე და ზედ მისი სახეოდ დააწერე, ვისთვისაც მწვადი-ასორტია განკუთვნილი.

დედა

პაპა

მაშ

დედას საჭირო მასალა:

- მჭადი
- ყველი
- ხის ჩხირები
- პური
- სტაფილო
- სალათის ფურცლები
- ძეხვი ან სოსისი
- ზეთისხილი





რუბრიკას უძღვება ვეტექიმი და
ექსპერტ-კინოლოგი **მამა კასინანი**

პედელი



პუდელი ძალიან პოპულარულია ჩვენს ქვეყანაში. ძაღლის ეს ჯიში ევროპაში ცნობილი იყო X-XII საუკუნიდან.

ჯიშის გერმანული სახელწოდება წარმოდგება სიტყვისგან „Pudelhund“, რაც ამ ენაზე ნიშნავს ჭაობის ძაღლს. სხვათა შორის, პუდელი მართლაც სწორედ ასე იწოდება.

ინგლისელები ამ ჯიშის ძაღლს Poodle-ს უწოდებენ, თითქმის ისევე, როგორც ჩვენ. საუკუნისხშია რომ ინგლისურად ასევე უწოდებენ გუბებს და სიტყვაც სწორედ ასე იწერება.

ფრანგულად პუდელს caniche-ს ეძახიან. სახელწოდება მიღებულია ორი სიტყვის შეერთებით - „canard chien“, რაც ნიშნავს იხვებზე მონადირე ძაღლს. ამგვარად, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პუდელმა თითქმის შეინარჩუნა თავისი ჯიშის ძველებური სახელი - „Canis aquaticus“ ანუ წყლის ძაღლი.

ითვალისწინოს, რომ ცხოველს სათანადო ზრუნვა და მოვლა სჭირდება. ისიც უნდა იცოდეთ, რომ პუდელი ყველა სხვა ჯიშის ძაღლზე მეტად ეჩვევა ადამიანს.

უნდა გახსოვდეთ, რომ ლეკვის შექმნის შემდეგ ვერც სირთულეებს აცდებით. კერძოდ, უნდა შეეგუოთ იმ აზრს, რომ ძაღლს თქვენი თავისუფალი დროის დიდი ნაწილი დასჭირდება.

პუდელი ძალიან სიცოცხლისუნარიანი ძაღლია და ხშირად ღრმა სიბერემდე აღწევს. რაც ხეება შეფერილობას, არჩევანი მრავალფეროვანია: შავი, თეთრი, ვერცხლისფერი, ყავისფერი და გარგარისფერი.

აუღელის მოვლის ფისავაი

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ზუსტად შევასრულოთ ვეტექიმის მითითებები.

სასურველია ყოველდღიურად შევამოწმოთ ძაღლის თვალების მდგომარეობა. კვირაში ერთხელ უნდა შემოწმდეს ყურები და კბილები.

ძაღლის დაბანა შეიძლება 1-2 თვეში ერთხელ სპეციალური შამპუნით, რომელიც არ არღვევს ბეწვის ბუნებრივ ცხიმოვან ფენას.

დაბანის შემდეგ საჭიროა ძაღლი პირსახოცით კარგად გაავაშრალით. შემდეგ გავაშროთ პაერის თბილი ნაკადით და დავვარცხნით.

მარცხნილობა

ქალაქში ხშირად შეხვედებით პუდელს განსაკუთრებული ვარცხნილობით. ძაღლის ასე დავარცხნა მხოლოდ, სპეციალისტს შეუძლია. გაკრეჭვის გარდა პუდელს ყოველდღიური მოვლა სჭირდება, კერძოდ, აუცილებელია ხშირი დავარცხნა, 3-4 კვირაში ერთხელ ცვირ-პირისა და თითების გაკრეჭვა და, თუ საჭიროა, ბრჭყალების დამოკლება.

პუდელისთვის არსებობს ორი ძირითადი ტიპის ვარცხნილობა: ლომისებური და მოღერნი.



დღეისთვის პუდელის სამშობლოდ მიჩნეულია საფრანგეთი. სტანდარტის მიხედვით არსებობს ამ ჯიშის ხუთი ნაირსახეობა: დიდი პუდელი - 45-60 სმ; საშუალო - 35-45 სმ; ჯუჯა - 28-35 სმ; ტიო-პუდელი, ევროპული სტანდარტი - 25-28 სმ; ტიო-პუდელი, ამერიკული სტანდარტი - 25 სმ და ნაკლები.

როგორც წესი, პუდელი 10-12 წელიწადს ცოცხლობს. ვინც ლეკვის აყვანას გადარწმუნებს, უნდა გა-

თუ გინდათ, თქვენი ოთხფეხა მეგობარი ფურნალ „დილის“ ფურცლებზე მოხვდეს, გამოგვიგზავნეთ საინტერესო ფოტოები სახალისო მინანურებით.

E-mail:

dila1904@yahoo.com



აღმოსავლური კალენდრის მიხედვით 2007 წელი ღორის წელია. ის ასრულებს აღმოსავლური კალენდრის 12-წლიან ციკლს.



ღოსი

ბხსნიამი: მშვიდობისმოყვარე, ყურადღებიანი, ერთგული, ზოგჯერ გულუბრყვილო და მიმნდობი.

ბარამი: ღორის წელს დაბადებულებს ცოტა მეგობარი ჰყავთ, მაგრამ ვინც ჰყავს, სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებს და მათ გამო ყველაფერს აკეთებს.

„ნაპლი“: თუმცა ძალიან ჭკვიანია, მასში ოდნავი ეშპაკობაც კი არ არის. ყოველთვის სჯერა, რასაც ეუბნებიან.

პიბი: უყვარს საზოგადოებაში ყოფნა და ნებისმიერი თავშეყრის მზიარული წევრია.

მისწრაფვა: ღორი ინტელექტუალია, სწავლას მოწყურებული. კითხულობს განურჩევლად ყველაფერს. კარგი იქნება თუ დააკვალიანებთ და ლიტერატურას შეურჩევთ;

საინჟერსო ამჟები:

პორტუგალიაში, მურსას დასახლებაში, დგას გრანიტის ღორი, რომელიც, არქეოლოგების აზრით, აქ კელტებამდე მცხოვრები იბერიელი და ლუზიტანელი ტომების შექმნილი უნდა იყოს. შესაძლებელია ღორი ამ ტომების ტოტემიც ყოფილიყო. ქვის კვარცხლბეკზე ეს ქანდაკება ადგილობრივმა მკვიდრებმა XVIII საუკუნეში აღმართეს.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მურსაში პოლიტიკური ცხოვრება დულდა — ხელისუფლების სათავეში ხან მონარქისტები იყვნენ, ხან „პროგრესისტები“. მონარქისტები გამარჯვებას მურსას ცნობილი ღორის ძეგლის მწვანედ შეღებვით აღნიშნავდნენ, „პროგრესისტების“ სათავეში მოსვლას კი ღორის ნითლად გაბადებება მოსდევდა.

დღეს ძეგლს ბუნებრივი, გრანიტის ფერი დაუბრუნეს.

პოლონეთში, დაბა სელდევში, ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის წინ ღორის ქანდაკება დგას. მონუმენტი შთაბეჭქდავი ზომისაა და 35 ტონას იწონის. მისი შექმნის იდეა სელდევის მცხოვრებთ ვკუთვნიო, რომელთა 80% ღორების მოშენებით არის დაკავებული. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სწორედ ამიტომ გადაწყვიტა დაენესებინა „ღორის დღესასწაული“ და დაეგა ძეგლი.

დანიიში ღორი უძველესი დროიდან ეკონომიკურობის სიმბოლოდ ითვლება. ქალაქ ორბუსის ცენტრში დგას ღორის ქანდაკება გოქებთან ერთად.

გერმანიის ქალაქ მიუნხენში ღორის ორი ქანდაკება დგას. საერთოდ, გერმანიაში გოქი ბედნიერების სიმბოლოდ ითვლება. მას გამოსახვენ სახაზლლო და დაბადების დღის მისალოც ბარათებზე. გერმანულ ენაზე ნათქვამი „მას ჰყავს ღორი“ — ნიშნავს, რომ იმ ადამიანს უმართლესს, იღბლიანია.

გერმანიის სამხრეთით, ზოგიერთ რეგიონში, ახალი წლის სუფრის აუცილებელი ატრიბუტია მოხარული ღორის თავი. საკმაოდ პოპულარულია ღორის ფორმის ყულაბები. ყველაზე ძველი ყულაბა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოაჩინეს ტიურინგიის ჩრდილოეთით. იგი XIII საუკუნით დათარიღდა.



ლაზადა



რატომაა 2007 წელი ღორის წელი, ან რატომ იყო გასული წელი ძაღლის? ეს კითხვა აუცილებლად გაგაინტერესებს. მეცნიერებს თუ დავევითხებით, სამეცნიერო თანხა აგვიხსნიან, რომ შხის წლიური გზა თანაბარსკვლავებდა სარტყელზე გადის და მას ზოდიიქის უწოდებენ, თანაბარსკვლავებებს კი უპირატესად ცხოველთა სახელები ჰქვია. რატომ ცხოველთა? — ამ კითხვას უკვე ძველი ჩინური ლეგენდა უპასუხებს:

ლეგენდის მიხედვით, ნფრიტის იმპერატორმა*, ცათა მბრძანებელმა, რომელიც ღმერთების იერარქიაში უზენაეს ღვთაებად მიიჩნეოდა, გადაწყვიტა წლების მმართველებად განსაკუთრებული თვისებების მქონე თორმეტი ცხოველი აერჩია. თავიანთი თვისებებით ისინი ადამიანების ცხოვრებაზეც მოაზრდნენ გავლენას. ამისათვის მიიხიშო მთავარი მრჩეველი და უფრო:

— დიდი ხანია ვმართავ ზეცას, მაგრამ არასოდეს მინახავს ის უცნაური ცხოველები, მინახებ რომ სახლობენ. მინდა ვიყოვე მათი ხასიათი, ენაბო, როგორ დადიან, როგორი ხმა აქვთ, რამდენად ჭკვიანები არიან და როგორ შეუძლიათ ადამიანის დახმარება. ამოირჩიე მათგან თორმეტი ყველაზე საინტერესო ცხოველი, მომგვარე და მე თავად გავანაწილებ წლების მმართველებად.

მრჩეველმა გონებაში გადაარჩია ყველა ცხოველი და გადაწყვიტა, პირველად ვირთხისთვის ეთქვა ცათა მბრძანებლის დავალების შესახებ, თანაც სთხოვა, მიწვევა კატისთვისაც გადაეცა. შემდეგ თავადვე მიიწვია ხარი, ვეფხვი, კურდღელი, დრაკონი, გველი, ცხენი, ცხვარი, მაიმუნი, მამალი და ძაღლი. მეორე დღეს, დილის ექვს საათზე ყველანი ცათა მბრძანებლის წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ.

კატას შიში დაეფუტა, დილით არ ჩამეძინოსო და ვირთხას სთხოვა, გამალეციყო. მთელი ღამე ფიქრობდა ვირთხა, რა მომხიბ-

ვდელია ფუჭფულა კატა და რა შეუხედავი გამოჩნდები მის გვერდითო? ერთდერო იმედად ისღა რჩებოდა, რომ კატას დილით ჩამეძინებოდა და ექვს საათზე ვირთხა უმისოდ ეახლებოდა ცათა მბრძანებელს. ასეც მოხდა:

დილის ექვს საათზე თერთმეტი ცხოველი გამწკრივდა ნფრიტის იმპერატორის წინაშე. მბრძანებელი აუჩქარებლად ათვალერებდა მათ. როდესაც ბოლო ცხოველს მიუახლოვდა, მიბრუნდა და მრჩეველს ჰკითხა: ყველა ცხოველი საინტერესოა, მაგრამ რატომ არიან თერთმეტი?

მრჩეველმა ვერ შეძლო პასუხის გაცემა და მაშინვე გაგზავნა მსახური მინახე, რათა შეთორმეტი ცხოველი მიეყვანა. პირველი, ვინც მსახურს სოფლის გზაზე შეხვდა, ღორი იყო. მსახურს შეეძინა აღარ უძებნია და ცათა სამეცნიერი ღორი მიაბრძანა.

იმპერატორმა შერჩევა დაიწყო თუ არა, ვირთხამ ისევ იმეძა: იღიქრა, შეუმწიველი დაერჩევიდა, შეახტა ხარს ზურგზე და ფლეიტის დაკვრა დაიწყო. ცათა მბრძანებელს იმდენად მოეწონა ეს ცხოველი, რომ პირველი ადგილი უბოძა. დანარჩენებსაც თავიანთი თვისებების მიხედვით მიაკუთვნა ადგილები. ღორი ბოლოში იდგა და ადგილიც ბოლო ვერცო.

ცერემონიის დამთავრების შემდეგ სასახლეში კატა შევარდა, მაგრამ გვიანდა იყო. იგი მაშინვე პირველ რიგში თავმოწონდებოდა მდგომ ვირთხას გაევიდა მოსაკლავად. დღესაც ასე, დაინახავს თუ არა კატა ვირთხას, მაშინვე ძველი წყენა ახსენდება, გაკვირდება და ვირთხაც თავქუდმოგლეჯილი გაბრის.

თარგმანა ზურამ ყარანოშვილმა

ნფრიტის იმპერატორი — განაგებს ადამიანთა ზედს. მისი ქანდაკება ნფრიტის ქვამაა გამოკვეთილი.

მზია აკობია-ძაძაძია

ნასპამი ღორი

- ას ორი და
- ას-სა-აა-ში,
- ითვლის ღორი ნასპამი.
- კიდევ ერთი ჯამი და,
- მეტი ღვინო არ მინდა, —
- თხა იცინის, ცხვარცა;
- დახეთ, მთვრალი წაიქცა!

ასლა მისთვის ერთია, სმელეთიც და წაუღიც! უმწერს მურა ამ სურათს, ფიქრობს მენაშფოთების, „როგორ გვკანან ვირთხისთვის, ღორები და ღლოთები“



მხატვარი თბა მძაძია

5107/18

საქართველოს
შინაგარეო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო

მამაბერიძე
მებრძველი

ბიორაბი
ბასაბინიძე

ბიორაბი
ზვიზია

მინა
ბერბერაძე

მინა
ლემინაძე

ბიბა
ბიბინაძე

გილოცავთ დაბადების დღეს

ბარბაქაძე
თორნიკე

ბაქაძე
ლევან

სოლო
კუბანაძე

ბიბინა
ბიბინაძე

ბაბა
ბიბინაძე



პეპი

საქართველოს
შინაგარეო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო



„ნიგონის საგუბრო“

ნიგონი აღგილვა მიზანით

კურიერის მომსახურება უფასო!



www.bookland.ge

sales@bookland.ge

მის: კოსტავას 14,

IV სართ (ჭიკუჭიძის მხრიდან)

ტ/ფ 92 35 70



ბაჰრიყინის იმ-ე წყნო
გამომცემელი შპს „ჰუმანუტულო“
გამომცემლობა „დელტა“

მთავარი რედაქტორი
დოლო წინწინაძე

არტ-რედაქტორი
თამარ ნინიასვილი

რედაქტორები:
ლევან ბაბუნია
მამია კვანცირაძე
შერმალინ ქალაღანი

სტილი:
მინან ნინიასვილი

მხატვარ-დიზაინერი:
თამა მინია

კომპიუტერული დიზაინი:
ნუზარ არამიაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფი:
მარიკა გორგაძე

საფინანსო განყოფილება:
ნაირა გომეზაშვილი
გუგული ლევაშვილი


ოფის-მენეჯერი:
სალომე კვანცირაძე

საზოგადოებასთან ურთიერთობის
განყოფილება:
მამია გორგაძე
ნანი კაკაჩია

გამომცემის რედაქტორი:
ნუზარ ბახტაძე

ელაზე ნახატი:
მალხაზ კახაშვილის

მისამართი:
თბილისი, კოსტავას ქ. №14
ტელ: 93 10 32; 93 41 30
<http://www.dila.ge>
ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com
ფასი 2,50 ლარი



1. ფრანგული სიტყვა, რომელიც „ქარაღანი შერმალინ“ ნიშნავს და ხშირად გამოიყენება კულინარიაში.
2. ქართული მეფე, რომელსაც 16 შვილი ჰყავდა.
3. პირველადი საწყისი ნაწილაკი.
4. ქვეყანა, რომელიც პუდელის სამშობლოდაა მიჩნეული.
5. ჩინური ლეგენდის მიხედვით, ვისი „წყალობით“ ვერ მოხვდა კატა ზოლი-აქოს ნიშნა შორის?
6. სოფელი, სადაც ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა.
7. რა ფერის იყო ქალაქ მურხას ცნობილი ღორის ქანდაკება „პროგრესისტების“ მმართველობისას.
8. სიტყვა „ექსპერიმენტის“ ქართული შესატყვისი.
9. ქვეყანა, სადაც სწავლობდა ნიკო ლორთქიფანიძე.
10. ნიკო ფულის შესაგროვებლად, რომელსაც გერმანიაში უპირატესად ღორის ფორმა აქვს.
11. საქველმოქმედო ფონდის სახელი, რომელსაც პაატა ბურჭულაძე ხელმძღვანელობს.

გ ა მ თ ი ნ ე რ ი ე თ ყ უ რ ნ ა რ ი " რ ი ლ ა "

„დილის“ გამოცემების შეძენა შეგიძლიათ სახლიდან გაუსვლელად. თქვენ მოგემსახურებათ ჩვენი კურიერი და სასურველ წიგნს სასურველ დროსა და ადგილას ყოველგვარი ფასნამატის გარეშე მოგართმევთ. შეკვეთის მისაცემად დაგვიკავშირდით რელაქციაში, ან გამოცენეთ საიტზე განთავსებული შეკვეთის ფორმა.

www.dila.ge



გაკვირდეს უძველეს მარცხე სურბულადი

ჩვენო ძვირფასო მეითხელო! შენ ამ ქვეყნის მომავალი ხარ და, რაც უფრო ღრმად შეისწავლი ბუნებას, გვერებ, მით უკეთ მოუვლი და უკეთესადაც გამოიყენებ მას. ბუნების შესწავლაში კი სხვა საბუნებისმეტყველო საგნებთან ერთად ქიმიის ცოდნა დიდ დახმარებას გაგიწევს. რატომ? ამის ახასხუნლად ერთ უბრალო მაგალითს მოგიყვანთ: წინათ ქვანახშირს მხოლოდ საწვავად იყენებდნენ, მაგრამ მისი შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქვანახშირისაგან 20-მდე სხვადასხვა ძალიან საჭირო პროდუქტის მიღება შეიძლება, დარჩენილი კოქსი კი კიდევ უფრო კარგად იწვის. არსებობს სხვა უამრავი მსგავსი მაგალითი, ამიტომაც გადაყვანიტ ბუნების მოვლენების კანონ-ზომიერებებზე და ბუნების კანონებზე დაკვირვება გასწავლო, რაც ბუნების საიდუმლოებებში გარკვევას გაგიადვილებთ. გისურვებთ ბედნიერ მოგზაურობას ბუნების საოცრებათა საყაროში!

ბაკვათილი I

ფილოსოფოსები და ბავშვები

- სად წავიდა წვიმა? - იკითხა პატარა თინიკომ მას შემდეგ, რაც წვიმამ გადაიღო და მზემ გარშემო ყველაფერი ააშრო.

რამდენი საინტერესო კითხვა ებადებათ ბავშვებს! განა მართლა საინტერესო არ არის:


როგორ შრება სარკეზე? რა ატრიალებს ქარის წისქვილის ფრთებს? წყლის უხარმაზარი ტალღა უწვრილეს წვეთებად რატომ იმსხვრევა კლდეზე? თინიდან ახალამოყრილი პურის სუნი როგორ აღწევს ჩვენამდე?

მსგავს კითხვებზე ფილოსოფოსები* ფიქრობდნენ, მაგრამ იცით, რა განსხვავებაა ბავშვებსა და ფილოსოფოსებს შორის? - ბავშვებს კითხვებზე მშობლები უპასუხებენ ან საბავშვო ენციკლოპედიას უდებენ წინ, ფილოსოფოსები კი ზუსტ პასუხს თვითონ აგებენ. ამისთვის სწავლულები ბევრს ფიქრობენ, აკვირდებიან ბუნებას, ატარებენ შესაფერის ექსპერიმენტებს* და ბოლოს დასკვნაც გამოაქვთ.

აი, როგორი პასუხი მოუტებენს სხვადასხვა ქვეყნის ფილოსოფოსებმა (რომლებიც ქრისტეს დაბადებამდე ცხოვრობდნენ) ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებს:

ქარის წისქვილი

წყლის წისქვილი



წყალი ქუცმაცდება ისეთ უწვრილეს ნაწილაკებად, რომელთა დანახვაც ჩვენს თვალს არ შეუძლია;

ქარი ისევე ამოძრავებს წისქვილის ფრთებს, როგორც წყალი - წყლის წისქვილის ბორბალს. ესე იგი ქარიც (ანუ მოძრავი ჰაერი) უწვრილესი ნაწილაკებისაგან შედგება.

პურის, ყვავილისა თუ თევზის სუნს ასევე უწვრილესი ნაწილაკები წარმოქმნიან, რომლებსაც მოძრაობის უნარი აქვთ. ეს ნაწილაკები პურს, ყვავილსა თუ თევზს სწყდება და სივრცეში გადაადგილდებიან. ასე აღწევს მათი სუნი ჩვენამდე.

ბოლოს და ბოლოს, ყველა ფილოსოფოსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საშყარო შედეგაა პირველადი, საწყისი, მუდმივი, უცვლელი, მოძრავი, უმცირესი ნაწილაკებისაგან. ფილოსოფოსმა დემოკრიტემ ამ ნაწილაკებს **ატომი** უწოდა.

ფილოსოფოსი ის ადამიანია, რომელიც სიბრძნის სიყვარულის გამო ცხოვრების უმეტეს ნაწილს ცოდნის შექმნას ახმარს, შემდეგ კი დარჩოვლ ცოდნას და გამოცდილებას თავის შეგირდებს (მოსწავლეებს) გადასცემს.

სახალისო დავალება

ბაბ, სცაპ!

საკუნებების განმავლობაში უზარმაზარი ცოდნა დაგროვდა. ფილოსოფოსები ვეღარ აუდიონდენ ყველაფრის ერთად შესწავლას. ამიტომ მათ სხვა ვზას მიმართეს: გადაწყვიტეს ბუნებასმცოდნეობის რომელიმე ერთი დარგი აერჩიონ და, ვინც რას აირჩევდა, მომავალში იმ მეცნიერების გაღრმავება-განვითარებაზე ეზრუნა.

ასე დაიწყო საბუნებისმეტყველო მეცნიერება რამდენიმე ვიწრო დარგად - ფიზიკად, ქიმიად, ბიოლოგიად, გეოგრაფიად, ასტრონომიად; ამ დარგების შესწავლელ მეცნიერებს კი ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ბიოლოგი, გეოგრაფი, ასტრონომი დაერქვათ.

მეცნიერები სწავლობენ ბუნების კანონზომიერებებს და ამის შედეგად სულ ახალ-ახალ კანონებს აღმოაჩენენ. კანონზომიერებაა: დღეს რომ დამე მოსდევს, ჭეჭა-ჭეხილს - წვიმა, ზამ-

ძალიან კარგი იქნება, თუ შენც, ჩვენო პატარა მეითხველო, მოახერხებ და შენ მიერ დასამულ კითხვებზე თვითონვე გასცემ პასუხს. ამისათვის უნდა ისწავლო ბუნებაზე დაკვირვება, სათანადო ექსპერიმენტის მოფიქრება და მიღებული შედეგების სწორად ახსნა. ამას უცებ ვერ მიაღწევ, ყველაფერს დრო და მონდომება სჭირდება. ჩვენც სიამოვნებით დაგეხმარებით.

ბაბ, დაპინჯოთ! მავალითად, ჩაატარე სახლში ასეთი ექსპერიმენტი:

ოჯახის წევრებს სათხოვე მონაწილეობა მიიღონ შენს ექსპერიმენტში. დააყენე ისინი ერთ მწკრივში ერთმანეთისგან ნახევარ ნაბიჯის დაშორებით. დადგე მათ წინ სუნამოს ბოთლით ხელში და გააფრთხილე ექსპერიმენტის მონაწილეები რომ, როგორც კი სუნამოს სუნს იგრძობენ, მაშინვე ახსიონ ხელი. მოხსენი სახურავი სუნამოს და ბოთლი რამდენჯერმე შეარბიე. დააკვირდი, რა თანამიმდევრობით აიწვევენ ხელს ექსპერიმენტის მონაწილენი.

გააკეთე სათანადო დასკვნა: დასკვნაა ის პასუხი, რასაც შენი ექსპერიმენტის შედეგები ახსნის და დაამტკიცებს.

- ახლა დაფიქრდი:
- ა) რა შეამოსწე ამ ექსპერიმენტით (ანუ რა კითხვა დაუსვი ბუნებას)?
 - ბ) რა ნახე ექსპერიმენტის შედეგად?
 - გ) რა დასკვნა უნდა გამოიტანო ექსპერიმენტის ამ შედეგით?

ყოველივე ამის გაზარების შემდეგ იგულისხმება, რომ შენ ერთი ნაბიჯი გადაადგი ბუნების შესწავლის გზაზე.

თუ შენ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტს დანვრილებით აღწერ ა, ბ, გ თანამიმდევრობით და გამოგზავნი რედაქციაში, შენს ნაშრომს გამოვაქვეყნებთ ჟურნალის მომდევნო ნომერში.

ახლა გასწავლით, როგორ აღწერო ჩატარებული ექსპერიმენტი! მოგვყავს ნიმუში.

კითხვა: როგორ დავადგინოთ, რომ მყარი ნივთიერება უმცირესი ნაწილაკებისგან



თარს - გაზაფხული, კლდიდან წყლის ძირს ვარდანს - შხვილი და სხვა. ყველა კანონზომიერება ბუნების რომელიმე კანონს ემორჩილება.

ცხოვრებისეული გამოცდილებით ბავშვებმა ბევრი კანონზომიერება იციან, მაგრამ მათს გამოქმწვევ კანონებს არ იცნობენ. მავალითად, აღმამანებმა უხსოვარი დროიდან იცოდნენ, რომ ზელიდან გაშვებული საგანი აუცილებლად დაბლა დაეცემა, მაგრამ მხოლოდ XVII საკუნეში გაზდა ცნობილი, რომ ყველა საგანს დედამიწა მიიზიდავს **მსოფლიო მიზიდულობის კანონის** თანახმად. ეს კანონი ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს.



შედგება? (ძველ ფილოსოფოსებს ვენდობი, მაგრამ ჩემი საკუთარი ექსპერიმენტით მინდა ამის დამტკიცება).

ვატარებ ასეთ ცდებს*: ვიღებ ერთჯერად ჩაის პაკეტს და ვყოფ წყლიან გამჭვირვალე ჭიქაში ისე, რომ პაკეტის წყლის მხოლოდ ზედაპირს ეხებოდეს. პაკეტს არ ვამოძრავებ.

ა) მყარი პროდუქტებიც უწვრილესი ნაწილაკებისაგან შედგება თუ არა?

ბ) ცდის შედეგად დავინახე, რომ ერთჯერადი ჩაის პაკეტიდან მუქმა ნაწილაკებმა ჭიქის ფსკერისკენ დაიწყო მოძრაობა.

გ) დასკვნა: ჩაის მთლიან დიდ ფოთლებს (რომელიც პაკეტშია), მოსწყდა მცირე ნაწილაკები, რომლებიც პაკეტის უხილავ ხერხელებშიც კი გამოვტია. პაკეტის ქაღალდის ხერხელები არ ჩანს სიმცირის გამო, მაგრამ, რადგან წყალი ჭიქაში შეიფერა, გამოდის, რომ ჭიქაში გაჩნდა ახალი უმცირესი ნაწილაკები. ესე იგი მყარი ნივთიერებებიც უმცირესი ნაწილაკებისაგან შედგება, რისი დამტკიცებაც მინდოდა.

ახალი სიტყვები:

ფილოსოფოსი, ცდა, ექსპერიმენტი.

სიტყვა „ფილოსოფოსი“ ორი ბერძნული სიტყვისგან შედგება: ფილო — სიყვარული და სოფია — სიბრძნე. ე. ი. „ფილოსოფოსები“ უძველესი დროიდან ბრძნე ადამიანებს ერქვათ — სიბრძნის სიყვარულის გამო.

ცდა (იგივე ექსპერიმენტი) არის ადამიანის პრაქტიკული ზემოქმედება გარე სამყაროზე, რომლის შედეგიც რაიმე ცოდნის (ან გამოცდილების) გვაძლევს.

„ცდა“ ქართული სიტყვაა, „ექსპერიმენტი“ კი — ლათინური. „ცდა“ უფრო მოხერხებული სიტყვაა, ვიდრე — ექსპერიმენტი. სამაგიეროდ „ექსპერიმენტატორი“ უფრო მოხერხებულია სახმარად, ვიდრე „ცდის ჩამტარებელი“. ამიტომ ორივე სიტყვას გამოვიყენებთ, სადაც რომელი უფრო შესატყვისი იქნება.



ბაკვათილი II

როგორ გავივით ფილოსოფოსების გამოთქმა „ბირველად, საწყისი ნაწილაკი“? ამისათვის ერთი ასეთი შედარება გვინდა შემოვთავაზოთ.

წარმოდგინე ქართული ანბანის 33 ასო-ბგერა. მათი საშუალებით სიტყვები იქმნება. მაგალითად, ასო-ბგერით **ი** და **ა** წარმოიქმნება სიტყვა **ია**. სიტყვებით წარმოიქმნება წინადადება **აი ია**, იგივე **ი** და **ა** სხვა სიტყვებშიც მონაწილეობენ. მაგალითად — **ბეია**, **მარია**მ. ამ ასოებით შედგენილ სიტყვებს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული შინაარსი აქვთ. წინადადებებით იქმნება ლექსები, მოთხრობები, რომანები და სხვა ნაწარმოებები.

წარმოდგინეთ, რამდენი წიგნი არსებობს ჩვენს ბიბლიოთეკებში. წიგნების ეს სიმრავლე და მრავალფეროვნება სულ 33 ასო-ბგერისაგან შედგება.

სწორედ ასე არის შექმნილი ბუნების მრავალფეროვნება 90 სახეობის ატომისაგან. ისინი ერთმანეთისგან წონით, ზომით და სხვა თვისებებით განსხვავდებიან.

ჩვენი ძვირფასი მკითხველო!

ახლა შენ თვითონ მიიფიქრე ცდა, სხვადასხვა რაოდენობის სითხე (მაგალითად, 1 წვეთი და 3 წვეთი) ერთდროულად აქროლდება თუ სხვადასხვა დროს მოანდომებს აქროლდება.

შენს მიერ მიიფიქრებული ექსპერიმენტი აუცილებლად ჩაატარე და დაამტკიცე შენი ვარაუდი. ჩატარებული ექსპერიმენტი ჩაიწერე რვეულში. წლის ბოლოს მოეწყობა კონკურსი ყველაზე კარგი ჩანაწერიანი რვეულებისა და იმედია შენც მიიღებ მონაწილეობას ამ კონკურსში.

ბბბ, სსსდე!

ახლა მინდა შემოვთავაზოთ ექსპერიმენტი, რომლითაც გაარკვევ: ყველა სითხე ერთნაირად ქროლდება თუ სხვადასხვა დროს სჭირდებათ ასროთქლებლად.



ცდისთვის საჭიროა: ლამბაქი, პიპეტი (სასურველია უზმარი), წყლიანი ჭიქა და სამედიცინო სპირტი.

ცდის მსვლელობა: ლამბაქზე პიპეტით დაანვეთ წყალი. იმავე ლამბაქზე, ცოტა მოშორებით, პიპეტით დაანვეთ სამედიცინო სპირტი.

დაუტყვე შედეგს. რამდენიმე წუთში შენ გეცოდინება პასუხი.

შეგიძლია, შენი ექსპერიმენტისთვის სხვა სითხეები შეარჩიო.

ნახშირი პიპეტი შეინახე შენი ცდები-სათვის.

ატომთა ცალკეულ სახეობას ელემენტი ეწოდება.

სიტყვა „ელემენტი“ შემადგენელ ნაწილს ნიშნავს



ლამბაქი წვეთებით, პიპეტი, წყალი, სპირტი

მსატკარი თბა მიძიან



მაცხენა

მხატვარი ალექსანდრე ბერლინიძე

